91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №10 (7109) 15 მაისი 2024 წელი

ზესტაფონის შემოვლითი მაგისტრალური გზა გახსნილია!

ამ შემოვლითი გზის გახსნით თბილისიდან-ბათუმამდე მგზავრობა 3 საათსა და 30 წუთშია შესაძლებელი.

შემოვლითი გზის გავლას მხოლოდ 6 წუთი სჭირდება.

ზესტაფონის შემოვლითი 9 კმ-იანი, 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის გზა მოიცავს 4 გვირაბს და 11 ხიდს.

უკვე მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები ახალ მაგისტრალურ გზასთან მგზავრთა მომსახურების ცენტრის მოსაწყობად, სადაც გათვალისწინებული იქნება სივრცეები ზესტაფონის ტრადიციული სწრაფი კვების ობიექტებისთვის.

რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის ფარგლებში, შენდება 52 კმ-მდე გზა, რომელიც მოიცავს 97 ხიდსა და 51 გვირაბს. ამ დროისათვის, ავტოტრანსპორტისთვის უკვე გახსნილია 36 კმ გზა, აშენებულია 89 ხიდი და გაჭრილია 50 გვირაბი.

☞2

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2

ფაშიზმზე გამარჯვებიდან 79 წელი გავიდა

☞2

6 მაისი. გიორგობა. გოგნი...



ეს მართლმადიდებლური დღესასწაული, განსაკუთრებული მასშტაბურობით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფელ გოგნში აღინიშნება, სადაც წმინდა გიორგის უძველესი სალოცავი არსებობს. გოგნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია VII-VIII საუკუნეების ძეგლს წარმოადგენს. გადმოცემის თანახმად, ეკლესიას კარუგდებელსაც უწოდებენ, რადგან ტაძარს კარი არ უჩერდებოდა.

ამ დღეს, ყოველწლიურად, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ათასობით მომლოცველი სტუმრობს გოგნის კარუგდებელს.

გოგნის უძველესი სალოცავი ძალიან პატარაა მოცულობით, ამიტომ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ტაძარი აშენდა, რომლის სიმაღლე 52 მეტრია.

გიორგობას ქართველი ხალხი წელიწადში ორჯერ აღნიშნავს. 6 მაისი წმინდანის დაბადების დღეა, 23 ნოემბერს კი მისი ბორბალზე წამების დღე.

11 მაისი ევროპის დღე

საქართველოში ამ დღესთან დაკავშირებით ევროკავშირის კვირეული გაიმართა. კვირეულის ფარგლებში ევროკავშირისა და საქართველოს დროშებით მოირთო საქართველოს ქალაქები და თვითმმართველობები, ცენტრალური ქუჩები, ადმინისტრაციული ცენტრები...

გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები. სტუმრიანობა იყო ქვეყნის სგამოფენო სივრცე „ექსპოჯორჯიაში“, სადაც ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების დიდი მნიშვნელობის შესახებ, საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და ევროკავშირის ელჩი საქართველოში.

იმ დღეს, თბილისის ქუჩებში ახალგაზრდების მიერ გაიმართა საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის მხარდამჭერი „ევროპული მარში“, რომელიც საბოლოოდ ევროპის მოედანზე დასრულდა.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ფაშიზმზე გამარჯვებიდან 79 წელი გავიდა

9 მაისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა ქალაქ თერჯოლასა და სოფელ ჩხარში გვირგვინებით შეამკეს გმირთა დიდების მემორიალები, მეორე მსოფლიო ომის გმირის დავით ჯაბიძის ძეგლი და პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ხსოვნას.

ომში დაღუპული გმირების სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადეს სასულიერო პირებმა.

ცნობისათვის, მეორე მსოფლიო ომში თერჯოლიდან 3 533 ადამიანი გაიწვიეს, 2 325 დაიღუპა, ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, სამშობლოში მხოლოდ 1 208 მებრძოლი დაბრუნდა.

1945 წლის 8 მაისს, გერმანიის მიერ კაპიტულაციის გამოცხადების შემდეგ, მეორე მსოფლიო ომი დასრულდა. 9 მაისი კი ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა. მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 700 000 ადამიანზე მეტი წავიდა, აქედან ნახევარი უკან არ დაბრუნებულა.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებმა ერთჯერადად 2000 ლარი, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა - 1000 ლარი მიიღეს.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ხსოვნას ასევე პატივი მიაგეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა ზვიად ბაზაძემ, მირზა ქოჩიაშვილმა, საკრებულოს წევრებმა, მერიის თანამშრომლებმა, თერჯოლის საზოგადოების სხვა წარმომადგენლებმა.

სააღდგომო ნობათები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, მანუჩარ რობაქიძის ინიციატივით, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, 70 წელს გადაცილებულ მარტოხელა მოხუცებს სასურსათო პაკეტები გადაეცათ.

რამდენიმე ოჯახში, პირადად მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ჯემალ ისაკაძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბენეფიციარებს სააღდგომო ნობათები გადასცეს და აღდგომის დღესასწაული მიულოცეს.

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ორგანიზებით, პროგრამით გათვალისწინებული პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტები, სააღდგომოდ, 100-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 1-ელ მაისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, თემურ ქოჩიაშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

საკითხის წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ დეპუტატებს და დამსწრე საზოგადოებას დეტალურად გააცნო ინფორმაცია პირველი ტრანშით გამოცხადებული 21 ტენდერის შესახებ და აღნიშნა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტი საკასო შესრულებით მოწინავე ადგილზეა რეგიონში.

სოფელ ძევრში, წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა, სრულდება მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის შენობის რეაბილიტაცია, დაიწყო მუსიკალური სკოლის რეაბილიტაციაც (აღნიშნული პროექტი გარდამავალია და ჯამური ღირებულება - 985 000 ლარს შეადგენს). ამასთან უკვე დასრულდა17 სხვადასხვა ლოკაციაზე მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ ეტაპზე კი მიმდინარეობს ზედა სიმონეთში გზის რეაბილიტაცია, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი საკრებულოში, სოსო ჩაფიჩაძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ზესტაფონის შემოვლითი მაგისტრალური გზა გახსნილია!

ცენტრალური ავტომაგისტრალის მშენებლებმა დაპირება შეასრულეს და რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, შორაპანი-არგვეთის მონაკვეთზე ზესტაფონის შემოვლითი 9 კმ-იანი მაგისტრალური გზა ავტოტრანსპორტისთვის, მაისის თვის დადგომამდე გაიხსნა.

შემოვლითი მაგისტრალის გახსნის ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი კობახიძემ და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ.

ცერემონიას მინისტრთა კაბინეტის წევრები, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, პირველი მოადგილე ლევან სანიკიძე, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და აზიის განვითარების ბანკის ხელმძღვანელი პირები, იმერეთის მაჟორიტარი დეპუტატები პარლამენტში, ზესტაფონისა და ხარაგაულის მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალზე (E60) მოძრავ ავტოტრანსპორტს აღარ მოუწევს ქალაქ ზესტაფონში შესვლა და ისარგებლებს ზესტაფონის შემოვლითი ახალი გზით, რომელიც არგვეთას კვანძთან უერთდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნულ მაგისტრალს.

ახალი გზა ზესტაფონს განტვირთავს სატრანზიტო მოძრაობისგან და შეამცირებს მაგისტრალით მგზავრობის დროს. შემოვლითი გზის გავლას მხოლოდ 6 წუთი სჭირდება.

ზესტაფონის შემოვლითი 9 კმ-იანი, 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის გზა მოიცავს 4 გვირაბს და 11 ხიდს. ახალი გზა რიკოთის პროექტის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის ნაწილია, სადაც გათვალისწინებულია 14.7 კმ-იანი ჩქაროსნული გზის მშენებლობა.

ამ ეტაპზე, სამუშაოების 80% დასრულებულია—17 ხიდიდან აშენებულია 15 ხიდი და გაჭრილია ათივე გვირაბი.

ზესტაფონის შემოვლითი გზა, როგორც მაგისტრალური გზის ყველა მონაკვეთი, მნიშვნელოვნად გაზრდის საგზაო უსაფრთხოების სტანდარტს და უზრუნველყოფს კომფორტულ და შეუფერხებელ გადაადგილებას.

ამასთან, უკვე მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები ახალ მაგისტრალურ გზასთან მგზავრთა მომსახურების ცენტრის მოსაწყობად, სადაც გათვალისწინებული იქნება სივრცეები ზესტაფონის ტრადიციული სწრაფი კვების ობიექტებისთვის.

რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის ფარგლებში, შენდება 52 კმ-მდე გზა, რომელიც მოიცავს 97 ხიდსა და 51 გვირაბს.

ამ დროისათვის, ავტოტრანსპორტისთვის უკვე გახსნილია 36 კმ გზა, აშენებულია 89 ხიდი და გაჭრილია 50 გვირაბი. სამშენებლო სამუშაოები პარალელურად მიმდინარეობს ყველა დარჩენილ ხიდსა და გვირაბზე. საერთო ჯამში, რიკოთის მაგისტრალური ახალი გზის 70%-ით ავტოტრანსპორტი უკვე სარგებლობს.

შორაპანი-არგვეთას მონაკვეთზე მაგისტრალური გზის მშენებლობა აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით მიმდინარეობს.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდი ლარია. პროექტი 2024 წლის ბოლოს დასრულდება.

დღევანდელი მდგომარეობით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზის 276 კმ ანუ 64% ავტოტრანსპორტისთვის უკვე გახსნილია. სამშენებლო სამუშაოები გრძელდება მაგისტრალის 66,1 კმ-ზე.

ვერ აისრულა ოცნება და სევდიანი წავიდა

თითქმის 30 წელი ცხოვრობდა თერჯოლაში, უღიმოდა ნაცნობებსა და უცნობებს, თუმცა მის თვალებში არ შეიძლება სევდა და ტკივილი არ დაგენახა... ყოველი დღე მშობლიურ სახლში დაბრუნებაზე ოცნებით იწყებოდა და თუნდაც რამდენიმე წუთით შეხვედრისა და საუბრის დრო გვქონოდა ბოლოს მაინც მონატრებულ ახლობლებზე, თავის ესტონკაზე გადაიტანდა საუბარს და გულუბრყვილო ბავშვივით სულ იმედი ჰქონდა შინ დაბრუნებისა.

რიტა ბუცხრიკიძემ სოხუმის დაცემის შემდეგ სხვა უამრავ დევნილთა მსგავსად აფხაზეთი დატოვა და მშობლებთან ერთად თერჯოლას მოაშურა. ერთხანს სიქთარვაში ნათესავის სახლში ცხოვრობდა, შემდეგ კი ბინა დევნილთათვის განკუთვნილ შენობაში მისცეს და მას შემდეგ, რაც მამა გარდაეცვალა, დედასთან ერთად იქ ცხოვრობდა.

ხშირად გვსტუმრობდა რედაქციაში—გულისტკივილით გვიყვებოდა როგორი კარგი ბავშვობა ჰქონდა და როგორ ენატრებოდა იქ გატარებული თითოეული დღე, თითოეული ნაცნობ-მეგობარი.

ნიჭიერი შემოქმედი ქალბატონი დროს უქმად არასოდეს კარგავდა, წერდა ლექსებსა და მინიატურებს. მისი სცენარითა და რეჟისორობით სპექტაკლი „მშვიდობის ჩიტები“ ჯერ სიქთარვის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან დაიდგა 2009 წელს, ხოლო შემდეგ გადამუშავებული სცენარით თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად. ამ სპექტაკლით სცენარში რიტამ მთელი თავისი განცდები ომისა, დაკარგული ახლობლების ტკივილი და უსაშველო მონატრება თავისი კუთხისა, ცისა და ზღვისა, მშობლიური სახლ-კარისა, ნათესავ-მეგობრისა, თუნდაც აფხაზი მეგობრისა, იმ თითქოს გულუბრყვილო ჩიტების საუბარსა და ჭიკჭიკში მისდაუნებურად ჩადო. აღმოჩნდა, რომ რუსული ოკუპაციის ერთი წლისთავზე დადგმული სპექტაკლი, სიქთარველი მოსწავლეების მიერ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სცენაზე, მისი პატრიოტული პათოსით იმაზე მნიშვნელოვანი და ფასეული აღმოჩნდა, ვიდრე თავად წარმოედგინა სცენარის ავტორს. შემდეგ „მშვიდობის ჩიტებმა“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონი მოიარა და მოწონებაც დაიმსახურა.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა სპექტაკლი თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით დაიდგა, რიტა გვიამბობდა: ვინც სცენარი წაიკითხა და სპექტაკლი ნახა ადვილად მიხვდება, რომ როგორც მონაწილე ბავშვებს, ასევე მაყურებელს დავანახე რა საშინელია ომი და როგორი ძვირფასია მშვიდობა. სპექტაკლის იდეაა: დავივიწყოთ შუღლი და მტრობა, გავუწოდოთ ერთმანეთს მეგობრობისა და დახმარების ხელი, შევრიგდეთ... ამაზე საუბრობენ სპექტაკლის პერსონაჟი მშვიდობის ჩიტები...

„მე პირადად, მიუხედავად ყველაფრისა, მიყვარს ჩემი თანამემამულენი, ჩვენი აფხაზები და ოსები. რომ არა გარეშე პირი, ჩვენს შორის ძმობასა და მეგობრობას, ნათესაობასა და სიყვარულს ბზარი არ გაუჩნდებოდა, გულისტკივილით ამბობს ქალბატონი რიტა. „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“, მოდით ძმებო და დებო, სიყვარულით კვლავ აღვადგინოთ და ავაშენოთ ტერიტორიული მთლიანობა, ვიცხოვროთ ძველებურად ერთად...

ჩვენ ხომ ერთი ცისა და ერთი მიწის, ერთი ზღვისა და ულამაზესი მთების შვილები ვართ. შევიტკბოთ და შევირგოთ ეს ბედნიერება, ნუ დავაქუცმაცებთ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ, ამ მართლაც წალკოტს, ღვთის საჩუქარს... ესაა ჩემი სათქმელი. ამ სპექტაკლში, ეს მინდოდა მეთქვა მაყურებლისთვისაც“...

ძალიან, ძალიან დასანანია, რომ რიტამ ვერ აისრულა საწადელი, ვერ მოესწრო გამთლიანებულ საქართველოს, ვეღარ ნახა თავისი ულამაზესი გულრიფში—ესტონკა... მძიმე სენმა დარია ხელი და რამდენიმე წელია ზეციურ სასუფეველში გადასახლდა... ვინ იცის ახლა, იქაც, თავისი ლამაზი კუთხის სანახებით ტკბება და ეალერსება მონატრებულ ზღვასა და ხმელეთს...

გვახსოვხარ, რიტა, ძვირფასო, გვაკლიხარ და გვენატრები...

P.S. ამ დღეებში რიტას დედა მოვინახულეთ, რომელიც ახლა მარტო ცხოვრობს იმ ბინაში, სადაც რიტამ თავისი ცხოვრების ბოლო დღეები და წუთები გაატარა. ხელში რიტას ტელეფონი უჭირავს, რომელიც არ გამოურთავს, იქედან რიტა ესალმება თავისი ფოტოთი... ეფერება რიტას ნივთებს, სურათებს, ამით სულდგმულობს და მიუხედავად იმისა მეორე ქალიშვილს სურს მოხუცი დედა თავისთან წაიყვანოს თბილისში, ურჩევნია რიტას საწოლი გაათბოს და იქ აღესრულოს, სადაც მისმა საყვარელმა შვილმა სული დალია...

დიდხანს სიცოცხლე და გამძლეობა ვუსურვეთ ქალბატონ მერის, ჩვენ მას კიდევ მოვინახულებთ.

„შინმოუსვლელო სადა ხარ?“

უამრავი ომი გადაუხდია საქართველოს თავისი არსებობის მრავალჭირვარამგამოვლილ სხვადასხვა დროსა და ეპოქაში და ერთ-ერთი მათ შორის იყო „დიდი სამამულო“ ომი, რომელიც 1941-1945 წლებში საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მიმდინარეობდა, მასში 700000 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქე მონაწილეობდა, 300000-ზე მეტი ქართველის სიცოცხლე კი შეიწირა. არ დარჩენილა ოჯახი, რომელსაც ომის საშინელების სიმწარე არ ეწვნიოს—დაღუპულ, დაკარგულ თუ დასახიჩრებულთა სახით...

იმ ავბედით 22 ივნისის დილამდე, საქართველო, ისე როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ქვეყნები, ცხოვრობდა, შრომობდა, სწავლობდა, მრავლდებოდა მომავლის იმედითა და რწმენით, იმ დღეს კი ყველაფერი გაუფერულდა და თავდაყირა დადგა, იყო საყოველთაო მობილიზება, გაწვევები, გაცილება-დამშვიდობება, ცრემლები... ომის ფრონტული ცხოვრების მწარე, ტკივილიანი დღეები, საათები თუ წუთები ომში წასულთა, ხოლო საშინელებათა მოლოდინი და უმძიმესი შრომისა და ცხოვრების ფერხული შინ, უკაცოდ დარჩენილი ოჯახებისათვის...

21 წლის იყო რუფოთელი თენგიზ გოგიაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი ომი რომ დაიწყო. როგორც მისი თაობის ახალგაზრდობა, ისიც მონდომებით ეუფლებოდა თავის მომავალ პროფესიას, შეყვარებულიც ჰყავდა, თანაკურსელი და სწავლის დასრულების შემდეგ ოჯახის შექმნა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

დიახ, ყველაფერი თავდაყირა დადგა, უმაღლეს სასწავლებელში სწავლა შეწყდა. თენგიზ გოგიაშვილი რამდენიმე სტუდენტთან ერთად თელავში, ოფიცერთა მოსამზადებელ კურსებზე გაიწვიეს, საიდანაც 3 თვის შემდეგ ფრონტზე გაგზავნეს.

გაყვანამდე რამდენიმე დღით ადრე რუფოთიდან მამა და და თელავში ჩავიდნენ, მათთან ერთად იყო თენგიზის საცოლე... ეს იყო თენგიზისათვის საყვარელ ადამიანებთან შეხვედრის უკანასკნელი ბედნიერი წუთები, რომელიც სამწუხაროდ აღარასოდეს აღარ განმეორდა.

შემდეგ იყო ფრონტიდან გამოგზავნილი რამდენიმე ბარათი და მისი დაღუპვის მაუწყებელი შეტყობინება...

1941 წლის 25-27 დეკემბერს სამხედრო და სადესანტო გემების ქარავნებს, რომლებშიც ქართული 224-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლები და მეთაურები გადაჰყავდათ, კურსი ქერჩის ნახევარკუნძულისაკენ აიღეს. მათ შორის იყო თენგიზ გოგიაშვილი. მათ ჰქონდათ საბჭოთა არმიის მთავარსარდლის ი.ბ. სტალინის ბრძანება—დესანტად გადამსხდარიყვნენ ნავსადგურ ქერჩის ჩრდილოეთით და სამხრეთით, ხელთ ეგდოთ პლაცდარმი, აეღოთ ქალაქი და იერიში მიეტანათ გერმანელთა განლაგების სიღრმეში.

„მძიმე პრობებში უხდებოდათ ყირიმის ფრონტის ჯარებს ბრძოლა რიცხობრივად ჭარბ, მძლავრი საომარი ტექნიკით აღჭურვილ გერმანელთა წინააღმდეგ, თუმცა, დროდადრო გარკვეულ წარმატებებს აღწევდნენ...

1942 წლის მაისში რამდენიმე ბრძოლის ეპიზოდის შედეგად 224-ე დივიზიამ დიდი დანაკლისი განიცადა, მხოლოდ მეთაურებისა და ჯარისკაცების მცირე ნაწილმა შეძლო ქერჩის სრუტის გადალახვა“, წერს ომის მონაწილე მწერალი და ჟურნალისტი ვახტანგ სიხარულიძე წიგნში „ყირიმი ცეცხლის ალში“... იქვეა ჩამოთვლილი რამდენიმე ჯარისკაცის სახელები, რომლებმაც თავი ისახელეს ბრძოლაში. ერთ-ერთი მათგანი თენგიზ გოგიაშვილია.

„მკვდარი მიწისქვეშა ქალაქი“—ასეთად დარჩა აჯიმუშკაის კატაკომბები შავი, გამჭვარტლული კედლებით, ვრცელი დარბაზებით, მაღალი დერეფნებითა და ვიწრო ხვრელებით იმ ადამიანთა მეხსიერებაში, ვინც გადატანა მიწისქვიშეთში მრავალდღიანი ბრძოლები, შიმშილი, წყურვილი, და ჯოჯოხეთური პირობები“...

ასეთ პირობებში უხდებოდათ თავდაცვა როგორც საბჭოთა მეომრებს, ასევე ბევრ ქერჩელ მოქალაქეს, სადაც დროდადრო ხელყუმბარები და ტყვიებიც სცვიოდა... გერმანელების მიერ გამოქვაბულის ხვრელებში რეზინის მსხვილი მილებიდან ძლიერი მომწამვლელი გაზის გაშვებამ, უამრავი სიცოცხლე შეიწირა, იყო აფეთქებებიც... წარმოუდგენილი სისასტიკეა აღწერილი წიგნში... საბჭოთა მეომრები ღამით გამოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ გერმანელებს, იტაცებდნენ მათ საბრძოლო ტექნიკას, სურსათსა და წყალს... ერთხელაც გერმანელებმა ისინი ალყაში მოაქციეს და დაატყვევეს, მათ შორის იყო თენგიზ გოგიაშვილი...

საშინელება ტრიალებდა ეკლიანი მავთულხლართების მიღმა... იქ დასრულდა უამრავი ჯარისკაცის ჯოჯოხეთური სიცოცხლე...

სოფელში მოსული ავისმომასწავებელი ბარათი თენგიზის მშობლებს არ უნახავს, ისინი წლების შემდეგ ისე წავიდნენ ამ ცხოვრებიდან ყოველდღიურად ელოდნენ თავიანთი ულამაზესი ვაჟკაცის დაბრუნებას...

და-ძმა, ნაზი და გოლა გოგიაშვილები, საბიძაშვილო და ახლობლები ჩუმად ეფერებოდნენ და დასტიროდნენ შინმოუსვლელ ჯარისკაცს, რომელსაც, რომ არა ის საშინელი ომი, ღირსეული ადგილი უნდა ჰქონოდა ჩვენს ქვეყანაში, ისე როგორც ასიათასობით სხვა ჩვენს თანამემამულეს... რომ არა ეს ომი, ბედნიერად გაიზრდებოდა უამრავი პატარა, ბედნიერნი იქნებოდნენ ქალები, მშობლები და უამრავ ცრემლსა და ტკივილს აიცილებდა თითქმის ყველა ოჯახი ჩვენი ქვეყნისა...

არ შემიძლია ეს სტატია ისე დავამთავრო, რომ არ გავიხსენო აგრეთვე 1941-45 წლის რუსეთ-გერმანიის ომს შეწირული თენგიზის ბიძა, ნიკალა გოგიაშვილი, რომელიც ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ფრონტზე. ნიკალამ სახლში ახალგაზრდა მეუღლე და ხუთი მცირეწლოვანი შვილი დატოვა.

ბიძა-ძმიშვილი იქ, ომის ქარცეცხლში იბრძოდა ფრონტზე, ხუთი შვილის დედა კი აქ, რუფოთში იბრძოდა შვილების შიმშილისაგან, და ავადმყოფეობისაგან გადასარჩენად... ასე წვითა და დაგვით გამოზარდეს ნათელა, ნანი, ფარვიზი, რამაზი და მაშინ სულ პატარა ელენე, რომლებსაც მამის სახე ძნელად თუ ახსენდებოდათ. სოფელში ყველას თავისი გასაჭირი ჰქონდა, თუმცა ობლების თანადგომა ყველას თავის მოვალეობად მიაჩნდა...

სხვა უამრავი რუფოთელი ვაჟკაცი შეეწირა „დიდ სამამულო“ ომს... იყვნენ გადარჩენილებიც, რომელთა დაბრუნება სოფლის სიხარული იყო...

9 მაისს, გამარჯვების დღე აღინიშნა ჩვენს ქეყანაში. ახლა უკვე, თერჯოლაში, სამწუხაროდ იმ ომის მონაწილე არც ერთი ცოცხალი აღარ არის... სამარადისო იყოს ხსოვნა და დიდება თითოეულისა.

გვერდი მოამზადა
მზია ცქიფურიშვილმა

კარგი სიტყვა კარგ ადამიანზე
30 წელი საჭესთან

თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან დედაქალაქისაკენ სამი მინიავტობუსი დადის, ანუ „მარშუტკა“, როგორც მას მგზავრები ეძახიან. ერთი დილის 7 საათზე ზედა სიმონეთიდან გამომვლელი, მეორე 10 საათზე—სოფელ ძევრიდან, მესამე კი ღვანკითიდან. ვისაც ეჩქარება თბილისში ჩასვლა 7 საათიანს მიჰყვება ცხადია, ვისთვისაც სულ ერთია რა დროსაც ჩავა—ის ძევრიდან ან 2 საათზე, ღვანკითიდან გამომავალში ჯდება. რომელსაც არ უნდა გაჰყვეთ დარწმუნებული იყავით, რომ მძღოლებისა და ღვთის ნებით მშვიდობიანად იმგზავრებთ, ამასთან ყოველი მათგანის მომსახურებით კმაყოფილნი დარჩებით.

ამჯერად ძევრი-თბილისის ავტობუსის მძღოლზე სოსო აბჟანდაძეზე გვინდა ვთქვათ ორიოდე თბილი სიტყვა, სწორედ იმ კმაყოფილი მგზავრების „რეკომენდაციით“.

პირადადაც მიმგზავრია ხოლმე ამ მინიავტობუსით და როგორც ასაკოვანისათვის თავის გვერდით შეუნახია ადგილი ყურადღებიან ადამიანს. არაა მიღებული საჭესთან მჯდომ მძღოლს ესაუბრო, ყურადღება გაუფანტო, მაგრამ 200 კილომეტრიც როგორ გინდა უბრად გაიარო. მეც აქა-იქ ჩავუგდებდი ხოლმე კითხვას ისეთ საკითხებზე, რომლებიც მაინტერესებდა. სოსოც გულისხმიერად მპასუხობდა. ასე, რომ თბილისში ჩასულს ერთი კარგი, გამრჯე, მშრომელი კაცის ბიოგრაფია ხელის გულზე მედო.

მშრომელს რომ ვამბობ მარტო მძღოლობას არ ვგულისხმობ. სოსო აბჟანდაძე უპირველესად კარგი მეოჯახე, მამა და მეურნეა, ყანაც აქვს და ვენახიც, ფურებიც ჰყავს და კრუხ-წიწილაც... მთელი ჯალაბით (მეუღლე, შვილები), მშობლიურ გარემოში ტრიალებს და ფუძე-კერაც, ამ დროის პირობაზე, შეძლებული აქვს. იგი ბევრივით სასოფლო პროდუქტების საყიდლად ბაზარში არ დადის, საკუთარი მარჯვენით იწევს პურს არსობისას.

მძღოლობა სოსოსთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა, მაგრამ კლებულობს ყოველწლიურად მგზავრთა ნაკადი და შემდეგ როგორ იქნება საქმე კაცმა არ იცის. ცოტაღაა თბილისში მოსიარულე, თუ მიდიან უცხოეთში სამუშაოდ და უკან დაბრუნებაზე ზედმეტია ლაპარაკი. აკი თქვა ამას წინათ ერთმა ჩვენმა პარლამენტარმა,—უამრავია ქვეყანა, რომლებიც ჩვენზე მეტადაა განვითარებული, ცხოვრების პირობებიც უკეთესი აქვთ და რა გასაკვირია თუ იქ სამუშაოდ მიდიანო. კი, სწორია ბატონო, მაგრამ ეს ქვეყანა რომ ცარიელდება შრომისუნარიანისაგან, ვიღამ ააშენოს, ან ვის დარჩება საბოლოოდ, ამაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ. მძღოლობიდან შემოსავალზე უფრო მეტად ბატონ სოსოს მიგრაციის ეს პრობლემა აწუხებს. ყოფილა შემთხვევა, თანაც ძალიან ხშირად, 5-6 კაცის მეტი არ წამიყვანია ამხელა გზაზე, ამბობს შეწუხებული, მაგრამ რეისს ვერ ჩაშლი იმის გამო, რომ დანახარჯსაც ვერ ინაზღაურებ. მგზავრი დაიმედებულია, ამ ავტობუსით წავა თბილისში და უნდა წაიყვანო. ბევრს მძღოლობა უბრალო პროფესია ჰგონია, არადა შენს მარჯვენასა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული აქეთ-იქით, 400 კილომეტრზე დღეში, მათი მშვიდობიანად ადგილზე მიყვანა.

გვიხარია, როცა მგზავრებით სავსე ავტობუსი მიგვყავს, განწყობაც ამაღლებული გვაქვს, მაგრამ თითო-ოროლა მგზავრი რომაა სალონში, როგორ გინდა იმხიარულო. აი, ამ დროს გინდა ნერვების მოთოკვა და თავის დაჭერა, რაიმე შეცდომისგან ღმერთმა დაგვიფაროს.

რა უნდა მძღოლს, რა უნდა მანქანას? მგზავრებზე უკვე მოგახსენეთ. საჭიროა გაიაფდეს ბენზინი, სავაჭრო ქსელში იყოს სათადარიგო ნაწილები და—გზაც რიგიანი, რა თქმა უნდა. არადა საწვავი პერმანენტულად ძვირდება. ამდენი წლების გასვლის შემდეგ ის დრო გვენატრება საწვავი 40 თეთრი რომ ღირდა. სათადარიგო ნაწილებიც პრობლემურია. „ზავადსკოის“ სადღა ნახავთ, კოოპერატივების გამოშვებულია და ხელადვე გამოდის მწყობრიდან. რაც შეეხება გზას სამდურავი არ გვეთქმის, პირიქით გახარებულნი ვართ, კარგი, კეთილმოწყობილი გზებია რაიონში. ამ ავტობანმა ხომ ერთი-ორად გაგვიადვილა შრომა.

უზარმაზარი საქმე კეთდება რიკოთის უღელტეხილის მონაკვეთზე გვირაბების მშენებლობით. უმეტესი ნაწილი გვირაბებისა უკვე დამთავრებულია, ისინი საზეიმო ვითარებაში გახსნა მაშინდელმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა და როგორც თავის გამოსვლაში აღნიშნა, ეს გვირაბები, თანამედროვე, უმაღლეს სტილში გადაწყვეტილი, არამარტო მძღოლებს გაუადვილებს საქმეს, არამედ ერთ-ერთი საუკეთესო სანახავი იქნება ტურისტებისათვის. ზესტაფონიდან-სურამამდე გზის გავლა, მართლაც ჯოჯოხეთი იყო პირადად ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის. ერთი სული გვაქვს როდის დამთავრდება დარჩენილი გზა და გვირაბები. ვიგებთ დასაფარ მანძილში და დროში თითქმის ნახევარ საათს, ჯერ -ჯერობით, შემდეგ უფრო მეტი იქნება.

ოცდაათი წელია საჭეს ვუზივარ. ასეთი გზები ოცნებად გვქონდა გადაქცეული. უზომოდ გახარებული ვარ, რომ სამოც წელს მიღწეულს ეს ნატვრა ამისრულდა.

ღმერთმა ყველა სურვილი ასე კეთილად აგვიხდინოს.

ი. ერაძე

დავით ჯაბიძე—ბიზნესის კეთება სოფლადაც შეიძლება

ბევრს ემახსოვრება მიხეილ ჯაბიძე, სოფელ ალისუბნის მკვიდრი, წარჩინებული პედაგოგი, დიდი ხნის მანძილზე რუფოთის საშუალო სკოლის დირექტორი. მისი არა მარტო პედაგოგობა იყო მისაბაძი, არამედ ოჯახისა და მეურნეობის გაძღოლაც. მისი სახლ-კარი და ეზო-რიადაგე სანიმუშო იყო სოფელში.

მამის გარდაცვალების შემდეგ საშინაო საქმეები მისმა ვაჟმა დავითმა გააგრძელა და არცთუ ურიგოდ. პარალელურად საზოგადოებრივადაც აქტიურობდა. ეს ის პერიოდი იყო აფხაზეთიდან დევნილები რომ მოაწყდნენ რაიონს და დავითმა მათ დაბინავებასა და სურსათით უზრუნველყოფაში დიდი როლი ითამაშა.

და მაინც მოხდა ის, რაც მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო—როგორც სხვა ათობით და ათასობით ბედის მაძიებელმა, მანაც ჩემოდანი ჩაალაგა და ევროპას მიაშურა. დაწყდათ გული მეზობლებს, ჯერ იმაზე— ასე კარგი მეზობელი რომ დააკლდათ და მეორე იმაზე—ეს ამისთანა ეზო-კარი რომ გატიალდებოდა უპატრონობით.

დავითი შესანიშნავად მოეწყო საბერძნეთში, როგორც შემდეგ გვითხრა, მხოლოდ არ იქურდო, არ იყაჩაღო (როგორც ამას ბევრი ემიგრანტი სჩადის) და თუ შრომა გიყვარს იმ ყოველმხრივ დალაგებულ ქვეყანაში, როგორც სხვაგან, ევროპაში კარგი, ნორმალური ცხოვრება გარანტირებული გაქვსო.

წლები სწრაფად გადის და წარმოიდგინეთ მეზობლების გაოცება ალისუბანში, როცა ერთ მშვენიერ დღეს დავითი საჩუქრებით ხელდამშვენებული გამოეცხადათ.

რა და როგორ იყო, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება და რას საქმიანობს ამჯერად, ამაზე თავად დავითი გვიამბობს: „მე რომ წავედი საზღვარგარეთ, ამბობს იგი, ჩვენი ქვეყანა არეული იყო, უმაღლესი განათლება მქონდა, მაგრამ პროფილით სამსახურს სად ვიშოვიდი. არ იყო იოლი, თუმცა მოვახერხე საბერძნეთში ჩასვლა. თუ შრომას არ თაკილობ, იქ გზა განალდული გაქვს, ანაზღაურებაც სოლიდურია. კარგად მოვეწყვე. ერთი სიტყვით, წლები ელვასავით გარბოდა, ამას ემიგრაციაში განსაკუთრებულად გრძნობ. წლების გასვლასთან ერთად ნოსტალგია მემატებოდა, ბოლოს ისე მომენატრა ჩემი კუთხე, ჩემი მამა-პაპური სახლ-კარი, რომ მივხვდი ემიგრაციაში მეტს ვეღარ გავჩერდებოდი. 2014 წელში ჩამოვედი. სადაც არ უნდა იყო, შრომა ყველგან გჭირდება, მითუმეტეს, ჩვენს განვითარებად ქვეყანაში. დავიკაპიწე მკლავები და შევუდექი საქმეს. ერთ-ერთ საზღვარგარეთულ პროგრამაში ადგილი გავინაღდე, 70% დამაფინანსეს, როგორც ინდმეწარმე და ისეთ დარგებს შევეჭიდე, რომელიც მისადაგებულია ჩვენი სოფლისათვის. კერძოდ—მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა. ავაგე ფერმა, შევიძინე ფურები, გოჭები, ინკუბატორი—წიწილების გამოსაჩეკად და გასაზრდელად. კარგა ხანს ვახდენდი ჭარბი პროდუქციის რეალიზაციას, მაგრამ შემდეგ მივხვდი ყველას თავს ვერ გავართმევდი, (თითოეულს თავისი სპეციფიკური მოვლა-პატრონობა სჭირდება) და მეფრინველეობაზე შევჩერდი. წლებია ამ საქმეს ვარ შეჭიდებული, დიდი შრომა სჭირდება 24 საათიან რეჟიმში, მაგრამ უნდა გაუძლო. წარმატებული ბიზნესმენების საქმიანობას გაცნობილი ვარ და ვიცი, რომ ყველა თავგამოდებით იღწვის, დღე-ღამეში მხოლოდ 4-5 საათი თუ სძინავთ, სამაგიეროდ კმაყოფილი ხარ, რომ მუხლჩაუხრელ გარჯას შედეგიც მოაქვს. შემოსავალი სოლიდურია, ოჯახსაც ახმარ და ბიზნესის გაფართოებაზე შეგიძლია ზრუნვა.

წითელი ბროილერის ჯიშის მეკვერცხული და მეხორცული ქათმების გამოსაზრდელი წიწილები გამომყავს. 2-3 კვირაში უკვე ნახევარკილოიანები არიან. გარდა ჩვენი მუნიციპალიტეტისა, ჩემი მომხმარებლები არიან ხარაგაულელები, რაჭველები, ტყიბულლები, ზუგდიდელებიც კი. ხშირად ყოფილა თვეში სამიათასი წიწილის რეალიზაცია მომიხდენია. საშუალოდ კი ეს ციფრი 1500-2000-სს შეადგენს.

მთავარი მაინც ისაა, რომ დავბრუნდი და ჩემს მამა-პაპურ კერაზე ვტრიალებ, ჩემს მშობლიურ ჰაერს ვსუნთქავ, ჩვენი წყაროების კამკამა წყალს ვსვამ...

ვაჟი მყავს, მამაჩემის სახელი მიხეილი ჰქვია, ათენის უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და ერთ-ერთ პრესტიჟულ კომპანიაში საქმიანობს. ორმაგი მოქალაქეობა აქვს. იგი მე და ჩემმა მეუღლემ ქართველად გავზარდეთ და მუდამ ქართველი, მშობლიური ქვეყნის მოყვარული იქნება. მოვა დრო და ჩამოვა. ჯაბიძეების კერა ალისუბანში არ გაცივდება.

ვისურვებდი არცერთი ქართველი ემიგრანტის სახლის კარი არ გამოკეტილიყოს, ყველა მშობლიურ ეზო-რიადაგეს დაბრუნებოდეს და სოფელი ძველებურად გაეცოცხლებინოს“.

ესაუბრა ი. ერაძე

სცენაზეა ანსამბლი „თაობა“

სიქთარვის საკლუბო დაწესებულებას 2010 წლიდან ირინა ნემსაძე ხელმძღვანელობს. სხვადასხვა დროს აქ მოქმედებდა სიმღერის გუნდი, მუსიკის, ქორეოგრაფიული წრეები. ირინა უმაღლესი განათლებითაა, დამთავრებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინომცოდნეობის ფაკულტეტი. მას, როგორც ხელოვნებასთან წილნაყარს, ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებდა კლუბთან არსებული წრეების მუშაობა, მაგრამ ცეკვის ანსამბლი „თაობა“ მაინც გამორჩეულიაო—თქვა.

ვნახოთ როგორია ეს ანსამბლი და რით არის გამორჩეული.

ანსამბლ „თაობას“ გამოცდილი, სტაჟიანი და საქმეზე შეყვარებული ქორეოგრაფი მალხაზ აბულაძე ხელმძღვანელობს. სხვადასხვა დროს იგი რაიონის თითქმის ყველა სკოლაში ასწავლიდა, წარმატებებიც ჰქონია, მაგრამ „ეს ბავშვები სულ სხვაა, ანსამბლის ყველა მოსწავლეს ასე მალე აეთვისებინოს ურთულესი ილეთები, იშვიათობაა.

ცეკვის ანსამბლი „თაობა“ სიქთარვის საჯარო სკოლის მოსწავლეებისაგან არის დაკომპლექტებული. ანსამბლში 30 ბავშვია გაერთიანებული. მალხაზმა და ირინამ სკოლის დირექტორ ია კვატაიასთან შეთანხმებით ჩამოაყალიბეს ეს ანსამბლი, რომელიც სამი თვეა მუშაობს. ერთ თვემდე მოსწავლეთა შერჩევას, გასინჯვებს, მშობლებთან მოლაპარაკებებს დასჭირდა და ფაქტიურად ორი თვეა და ცოტა მეტი რაც მუშაობენ და უკვე დადეს შედეგიც.

საღდგომოდ ანსამბლი უკვე გამოვიდა სცენაზე, ფართო მაყურებლის წინაშე კონცერტი გამართა და მოწონებაც დაიმსახურა. სასოფლო კლუბის დარბაზში იყვნენ: ანსამბლის წევრთა მშობლები, ბებია-ბაბუები, ახლობლები, შესრულდა: ოსური, ნარნარი, ქართული, ცეკვა დავლური, აჭარული, მთიულური, სამაია, ლაზური, ხორუმი. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ მოწვეულები—ქუთაისის კულტსაგანმანათლებო სასწავლებლის ქორეოგრაფები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი ია კვატაია, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელში გიზო ხანიაშვილი, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ანსამბლის წევრთა მიერ წარმოდგენილ ცეკვებს, მის ხელმძღვანელს, რომელმაც თავის მხრივ გადაუხადა მადლობა ქალბატონ იას და ბატონ გიზოს, კლუბის ხელმძღვანელს ირინა ნემსაძეს, ანსამბლის წევრებს და მათ მშობლებს, დამსწრეთ.

საბედნიეროდ, დღეს სიქთარველი ოჯახების უდიდეს ნაწილს არ უჭირს. მე თუ მკითხავს ვინმე და ეს აზრი მალხაზმაც გამოხატა, ერთი ჩოხა და ერთი ქართული კაბა, ყველა ოჯახში უნდა იყოს, მითუმეტეს იმ ოჯახებში, რომლებშიც ბავშვები, თან არა ერთი და ორი, ცეკვის მშვენიერებას ეუფლებიან, მალხაზი იმედოვნებს, რომ ანსამბლის წევრთა მშობლები ამას შეძლებენ, არის მშობლების დაინტერესებაც.

„ეს ბავშვები ცეკვის ფორმით, ნებისმიერ სცენას დაამშვენებენ“— თქვეს დარბაზში.

ჟუჟუნა ცხადაძე

სასწავლო პროექტი— „გადავარჩინოთ დედამიწა“

...მათე, იანი, ბარბარე, ნია, ცოტნე, ლილე, გაბრიელი, ნიკოლოზი, კახაბერი, ჯემალი, გვანცა, ნინი, ბარბარე, გიორგი—ღვანკითის საჯარო სკოლის მე-2 კლასელები არიან (მასწავლებელი, კლასის და სასწავლო პროექტის ხელმძღვანელი ცირა მურჯიკნელი), მაგრამ უკვე იციან, რომ დედამიწა მათი სახლია და ისე, როგორც მსოფლიოს ყველა ადამიანს და „ამ სახლს“ გაფრთხილება სჭირდება.

ამ აქტუალურ პროექტზე, ერთი თვის განმავლობაში მუშაობდნენ. გაერკვნენ პროექტის მიზანში, გაათვითცნობიერეს მოსალოდნელი შედეგი, მოიძიეს პროექტისათვის საჭირო რესურსი, ჰქონდათ დისკუსია, ნახატების პრეზენტაცია.

პროექტზე მუშაობამ მოსწავლეებს გაუღრმავა ცოდნა, სიყვარული და პატივისცემა ბუნებისადმი, გაითავისეს, რატომ არის მნიშვნელოვანი სუფთა და უსაფრთხო გარემო ადამიანის და სხვა ორგანიზმებისათვის. გაუღრმავდათ ცოდნა ხელოვნებაში, მოიძიეს მრავალი მასალა, მსჯელობდნენ გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების შესაძლებლობებზე, ბევრი ახალი რამ გაიგეს დედამიწის დაბინძურების მიზეზებზე, თავიდანვე დაიწყეს ზრუნვა გარემოს დაცვაზე.

მასწავლებელმა მოსწავლეები გადაანაწილა ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს მიეცა კონკრეტული დავალება, დაიგეგმა რამდენიმე აქტივობა, მოსწავლეებმა გაიხსენეს: 1970 წელს სანტა ბარბარას საბადოდან ნავთობის დაღვრას ოკეანის დაბინძურება და წყლის ბინადართ განადგურება მოჰყვა; ამერიკული გარემოს დამცავი სენატორის ნელსონის მოწოდებას—დავიცვათ დედამიწა—20 მილიონი ადამიანი შეუერთდა; 1970 წელს დედამიწის დღის დაფუძნებით საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მორიგ იდეას; დედამიწის დღეს მილიარდობით ადამიანი აღნიშნავს; საქართველოში დედამიწის დღე პირველად 1990 წელს აღინიშნა. კავშირი, რომელიც ბუნებასთან, მცენარეებთან, მიწასთან გვაქვს, ჩვენი ჯანმრთელობის და არსებობის განუყოფელი ნაწილია; დედამიწის დღე შეგვახსენებს, რომ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს პლანეტაზე; ბუნების დაცვა ნიშნავს მომავალზე ზრუნვას. ჩვენი ვალია მუდამ ვიზრუნოთ დედამიწაზე, რათა ვიცხოვროთ ჯანსაღ გარემოში; დედამიწის დაბინძურებას იწვევს ბუნებრივი მოვლენები; ხმელეთს აბინძურებს უსარგებლო ნივთები და მასალები; ადამიანების დაუდევრობით დედამიწა ნარჩენებში იძირება; არ დავყაროთ მეტალისა და მინის ნატეხები, პლასტმასის ნარჩენები; ადამიანები ერევიან კლიმატის ცვლილებებში; მანქანების გამონაბოლქვები, ფაბრიკა-ქარხნების გამონაბოლქვი, ხანძარი, ხეების გაჩეხვა, ნარჩენების წვა ხელს უწყობს გლობალური დათბობის გააქტიურებას; დედამიწა ავადაა, შველა უნდა; ჰაერის დაბინძურება დიდ პრობლემას ჰქმნის, ბინძურდება ხმელეთი, ორგანიზმები, ავადდებიან ადამიანები.

კითხვას—როგორ გადავარჩინოთ დედამიწა—მეორეკლასელებმა ასე უპასუხეს:

უნდა დავირაზმოთ, მოვუაროთ და ვიზრუნოთ ბუნებაზე, ვიაროთ ფეხით, არ დავყაროთ ნაგავი ტყეში, ქუჩაში, პარკებსა და მოედნებზე, არ მოვჭრათ ჯანსაღი ხე, არ გავჩეხოთ ტყე, დავრგოთ ხეები, არ დავტოვოთ კოცონი ტყეში, არ ჩავყაროთ წყალში ნარჩენები, დავასუფთაოთ სკოლის ეზო და შემოგარენი.

როგორი გვინდა იყოს დედამიწა, რა გვინდა ჩვენ?

გადავარჩინოთ დედამიწა, ჩვენი საერთო ლამაზი სახლი. მისი გადარჩენა ჩვენი სიცოცხლის გადარჩენაა, გვინდა დედამიწაზე ყველა იღიმებოდეს, მზე ლამაზად ანათებდეს, ვისუნთქოთ სუფთა ჰაერი, დავტკბეთ ნაკადულის ცქერით, ყვავილების სურნელით, სუფთა ზეცის ყურებით.

როგორ უნდა დავიცვათ, რატომ უნდა დავიცვათ დედამიწა, რატომ არის მნიშვნელოვანი სუფთა და უსაფრთხო გარემო, თქვენ რას აკეთებთ, ან რას გააკეთებთ დედამიწის გადასარჩენად?

ამ კითხვასაც უპასუხეს, უჩვენეს სლაიდები დედამიწის შესახებ. შეასრულეს სიმღერა „გამარჯობა დედამიწა“.

ღონისძიების დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა დარბაზში მყოფ საზოგადოებას, სკოლის მოსწავლეების საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგეს.

საინტერესო აქტივობები იყო. მოსწავლეებმა მეტი შეიტყვეს გარემოსა და დედამიწის შესახებ, დამსწრეებმაც ბევრი ისწავლეს —როგორ იზრუნონ დედამიწის, ჩვენი საერთო სახლის გადასარჩენად.

ორმოცდაათი წელი ახალგაზრდობის სამსახურში

გოდოგნის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა, თინა ამბროლაძემ საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტის ფარგლებში—„დედამიწა ჩვენი სახლია“, ღია გაკვეთილი ჩაატარა და თქვა: ეს გაკვეთილი ჩემი მასწავლებლად მუშაობის 50-ე წლის ბოლო გაკვეთილიაო. ვერ გამოვთვალეთ ეს გაკვეთილი მერამდენე იყო, მაგრამ ზუსტად 50 წლის წინ ჩაუტარებია ქალბატონ თინას პირველი გაკვეთილი.

„ადამიანის ცხოვრება ეს ფიჭებია, რომელსაც ფუტკრის მსგავსად თაფლით უნდა ვავსებდეთ, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ისარგებლოს“-ო ნათქვამია. 50 წელი ავსებდა ამ ფიჭებს ქალბატონი თინა და სარგებლობდა მისი ცოდნა-გამოცდილებით ასეულობით ახალგაზრდა. იგი, როგორც სწავლებისა და აღზრდის მთავარი ძალა არის საგანს ღრმად დაუფლებული ოსტატი, მოძღვარი, რომელიც არასოდეს ჩამორჩენია განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს. იგი ყოველთვის იდგა საგანსა და აღსაზრდელს შორის, როგორც საიმედო ბურჯი, რომელიც მოსწავლეს მექანიკურად კი არა, გააზრებულად გადასცემდა გაკვეთილს, არასოდეს სჯერდებოდა მარტო საპროგრამო მასალას, ამიტომ მისი მოსწავლეები უმეტესწილად სწავლობდნენ ასათვისებელი მასალის სიღრმეს, თემის დედააზრს, მის პრაქტიკულ გამოყენებას.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ახალთერჯოლის საშუალო სკოლაში, იყო ამ სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში. ტყიბულჰესის საშუალო სკოლაში მუშაობისას, განათლების სამინისტროს ინსპექტორებმა ასე შეაფასეს თურმე მისი გაკვეთილი—უნდა იამაყოს ქუთაისის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, სადაც კადრებს ამგვარად ამზადებენო.

1989-1994 წლებში თინა ამბროლაძე ნაგარევის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა, 1994 წლიდან დღემდე მუშაობს გოდოგნის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად.

მუშაობის 50 წლის მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა რაიონულ თუ რესპუბლიკურ კონფერენციებში, მისი ორგანიზებით ჩატარდა რაიონში პირველი მათემატიკური კარნავალი, მიღებული აქვს მრავალი დიპლომი, სიგელი და მადლობის ფურცელი. განსაკუთრებით დაამახსოვრდა 35 დღიანი საგზური მდინარე ვოლგაზე სამოგზაუროდ. დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით. თინა მასწავლებლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ და მონაწილეობდნენ დღესაც, მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციებში და რესპუბლიკური ტურებიდან ხშირად ბრუნდებიან პირველი ხარისხის დიპლომებით. ასოციაცია „ბალავარის“ მიერ განხორციელებულ კონკურსში „ვუერთდებით ევროპას“ გაიმარჯვეს რესპუბლიკურ ტურში. კურსდამთავრებულები, რომლებთაც სხვადასხვა დროს ასწავლიდა თინა მასწავლებელი, წარმატებით აბარებენ ეროვნულ გამოცდებს მათემატიკაში. მან 2010 წელს მიიღო უფროსი, ხოლო 2019 წელს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი.

ქალბატონი თინა კარგად იცნობს ეროვნულ სასწავლო გეგმას, ფიზიკა-მათემატიკის მიზნებს და ამოცანებს, სწორედ ამ მოთხოვნების შესაბამისად წარმართავს იგი მუშაობას.

პატიოსანი და შრო,ისმოყვარე ოჯახი აქვს ქალბატონ თინას, ჰყავს მეუღლე ავთანდილ აბესაძე და ორი შვილი: ბიძინა—ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის საავიაციო უნივერსიტეტის ლექტორი, ახალგაზრდა მეცნიერებათა საბჭოს თავმჯდომარე, შორენა—გოდოგნის საჯარო სკოლის დირექტორი.

ღია გაკვეთილი „საქართველო, ინდოეთი და ვედური მათემატიკა“

საგანმანათლებლო რესურსების მიერ ორგანიზაციული პროექტის „დედამიწა ჩვენი სახლია“ შესაბამისად გოდოგნის საჯარო სკოლას კენჭისყრით წილად ხვდა ინდოეთი. მათემატიკის მასწავლებელმა თინა ამბროლაძემ მე-8 კლასში დაგეგმა გაკვეთილი „საქართველო, ინდოეთი და ვედური მათემატიკა“.

მქონდა საშუალება დავსწრებოდი მის გაკვეთილს.

მე-8 კლასში 6 მოსწავლეა, რომლებიც გაკვეთილზე მუშაობდნენ ორ ჯგუფად. პირველად მასწავლებელმა გამოიკითხა საშინაო დავალება. მოსწავლეებს უნდა დაედგინათ მსოფლიო რუკაზე საქართველოსა და ინდოეთის კოორდინატები, ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა, შემდეგ კი უნდა შეედარებინათ რამდენჯერ მეტი იყო ერთის სიდიდე მეორეზე, რაც მოსწავლეებმა სწორად განსაზღვრეს.

შემდეგი აქტივობა მიეძღვნა ჭადრაკს, რომლის სამშობლოც ინდოეთია. გაიხსენეს ლეგენდა ჭადრაკის გამომგონებელ ვინმე სეტაზე. ლეგენდა ასეთია: სეტამ დიდი ხნის ფიქრისა და შრომის შემდეგ გამოიგონა ჭადრაკი. მან ეს გამოგონება სამეფო თამაშად მიიჩნია და თავისი ქვეყნის მეფეს (რაჯას) მიართვა. რაჯა დიდად კმაყოფილი დარჩენილა, მოსწონებია ჭადრაკში ჩაქსოვილი ბრძოლის სიბრძნე და უკითხავს—რით დაგასაჩუქრო კარგი თამაშის გამოგონებისათვის?

— მინდა, რომ იმდენი პურის მარცვალი მომცეთ, რამდენიც მომიწევს ჭადრაკის სათამაშო დაფიდან, თუ პირველ უჯრაზე ერთ მარცვალს დადებენ, მეორეზე ორს, მესამეზე — ოთხს, მეოთხეზე — რვას, მეხუთეზე — თექსვმეტს, მეექვსეზე — ოცდათორმეტს და ასე შემდეგ გეომეტრიული პროგრესიის მიხედვითო. რაჯას გასცინებია — საწყალ კაცს მოშიებიაო და ბრძანა დაეთვალათ და მიეცათ სეტასთვის კუთვნილი მარცვალი. გამოითვალეს და აღმოჩნდა, რომ სეტას ეკუთვნოდა იმდენი რაოდენობის მარცვალი, რაც დედამიწას ხუთ სანტიმეტრიანი ფენით დაფარავდა.

მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად გამოიანგარიშეს, რა რაოდენობის მარცვალი მოითხოვა სეტამ $1+2+4+8+.....+2^{63}=2^{64}-1$ ეს ციფრი კი ძალიან დიდია და შეადგინა 18.446.744.073.709.551.615 ცალი მარცვალი.

მოსწავლეებმა მიღებული რიცხვი დაყვეს კლასებად და შეძლეს მისი ამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ სეტამ მოითხოვა - თვრამეტი კვინტილიონ ოთხასორმოცდაექვსი კვადრილიონ შვიდას ორმოცდაოთხი ტრილიონ სამოცდაცამეტი მილიარდ შვიდასცხრა მილიონ ხუთას ორმოცდათერთმეტი ათას ექვსას თხუთმეტი ხორბლის მარცვალი.

მოსწავლეებს მასწავლებელმა დაავალა დაედგინათ თუ რამდენი აკლდა მიღებულ რიცხვს სიქსილიონამდე. ამისათვის მოსწავლეებმა გამოიყენეს ვედური მათემატიკის ერთ-ერთი სუტრა „ყველა 9-დან და ბოლო 10-დან“ (სუტრა არის ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო მათემატიკის უძველესი ინდური სისტემის შესახებ, ეს არის 16 სუტრა ანუ აფორიზმების კრებული, რომელიც უზრუნველყოფს მათემატიკური ამოცანების გადაჭრის სისტემურ მიდგომას).

იმისათვის, რომ რიცხვი შევავსოთ მომდევნო კლასამდე საჭიროა ამ რიცხვის თითოეული ციფრი შევავსოთ 9-მდე და ბოლო ათამდე. მოსწავლეებმა მიიღეს, რომ სიქსილიონამდე შესავსებად საჭირო იყო 815532559262904483 85 მარცვალი.

გაკვეთილზე ასევე გამოყენებული იქნა შემდეგი სუტრები:

—ეკვადიკენა —„ერთი უფრო მეტი ვიდრე ერთი“;

—სანკალანა-ვიავაკალანაბჰიამ—„შეკრებით და გამოკლებით“;

—სოფანტიადვაიამანტიამ—„საბოლოო“;

—ეკანიუენა პურვენა—„წინაზე ერთით ნაკლები“.

აღნიშნული „აფორიზმების“ გამოყენებით მოსწავლეებმა ამოხსნეს კიდევ რამდენიმე ამოცანა.

შემდეგ მათ „დაგეგმეს“ მოგზაურობა საქართველოდან ინდოეთში საჰაერო და საზღვაო მარშუტებით. გამოიკვლიეს თითოეულ შემთხვევაში ინდოეთამდე ჩასვლის დრო და ისაუბრეს თითოეული მარშუტის უპირატესობებზე. წარმოადგინეს პრეზენტაცია მსოფლიო ორი საოცრების ტაჯმაჰალისა და ქარების სასახლის შესახებ.

გაკვეთილი შედგა, გამახვილდა ყურადღება ინტეგრირებული გაკვეთილის მნიშვნელობაზე, თუ როგორ შეიძლება აღმოვაჩინოთ მათემატიკა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

ღია გაკვეთილი დადებითად და ერთ-ერთ საუკეთესოდ შეაფასეს გაკვეთილზე დამსწრე პედაგოგებმა და რესურსცენტრის (ქეთევან შეყრილაძე) თანამშრომლებმა.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ცხადაძემ

ქრისტე აღსდგა—ჭეშმარიტად აღსდგა!

რეპორტაჟი ტაძრიდან

აღდგომამდე, ვნების შვიდეულის დღეებში შესრულდა განსაკუთრებული მსახურება თერჯოლა-ტყიბულის ეპარქიის თერჯოლის ტაძრებში.

მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულის შესახვედრად კი მართლმადიდებლური ლიტურგია ტრადიციის მწვერვალი იყო.

დიდი შაბათის ღვთისმსახურება კი არის სულიერი წვდომა მაცხოვრის ქმედებისა, რომლითაც მან კაცობრიობა იხსნა.

მრევლთან ერთად ამ სააღდგომო ლიტურგიას საზანოს „სამჯვარის“ წმ. გიორგის სახელობის ტაძარში დავესწარი, ღვთისმსახურება მღვდელმა დავითმა (ჭანტურიძე) აღავლინა.

ტაძარმა ხალხი ვერ დაიტია. იდგნენ გარეთ, სანთლებით ხელში. ტაძარში შავი ფერები ნათელი ფერებით შეიცვალა, მამა დავითმაც სამგლოვიარო ტანსაცმელი სადღესასწაულოთი შეცვალა. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ მალე მოისმინებოდა სახარება იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ. ტაძრის შუაგულიდან მან სახარების კითხვით მრევლს მაცხოვრის აღდგომა ამცნო. ხშირ მოწოდებას—ქრისტე აღსდგა—მრევლი ერთხმად და სიხარულით პასუხობდა, რომ ჭეშმარიტად აღსდგა. ეკლესიაში საზეიმო განწყობილება შეიქმნა. პარასკევს მოთქმით ნამღერი—ვაი, რა კარგი საჩინო—სიხარულმა და მგალობლების და მრევლის ნამღერმა—ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველმა... შეცვალა. მამა დავითმა ანთებული სანთლით უკმია საკურთხეველს, ეკლესიას, მრევლიც ანთებული სანთლით და წმინდანთა ხატებით ხელში მიჰყვა მოძღვარს...

ყველა ერთხმად და ხმამაღლა ამბობდა, რომ ქრისტე ჭესშმარიტად აღსდგა. მამა დავითმა მრავალჯერ შესთხოვა მკვდრეთით აღდგომილ მაცხოვარს მორწმუნეთა შეწყალება და ცხონება. მაცხოვრის სადიდებლად იგალობეს შესაბამისი საგალობლები—დიდება მაღალთა შინა ღმერთს; წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო შეგვიწყალენ ჩვენ... საცეცხლურით ჯვრის გამოსახვით გვანიშნა წინასწარმეტყველმა მაცხოვრის ჯვარზე წამებაზე, ხოლო საკურთხეველში შესვლით მკვდრეთით აღდგომაზე. საზეიმო განწყობის შესაქმნელად ღამისთევის ლოცვაში ჩართულ იქნა მთელი რიგი ლოცვები და მოქმედებები, გაძლიერებული ლოცვა „უფალო შეგვიწყალე“ რამდენჯერმე შესრულდა.

მამა დავითმა შესთხოვა უფალს ერის, პატრიარქის, სამღვდელოების, ერისკაცთა, მთავრობის, ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის კეთილდღეობა, სნეულთა განკურნება, ქვეყნის დაცვა უბედური შემთხვევებისაგან, მშვიდობით დაბრუნება საზღვარგარეთ წასულთა. ლოცვას „მეუფეო მრავალმოწყალეო“... მლოცველნი ისმენდნენ თავდახრილნი. კმევით ეკლესიაში მრევლს კვლავ ეხარა მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომა. მრევლმა მოისმინა სპეციალური საგალობლები, სადაც შექებულია იესოს მიერ ადამიანის გამოხსნა.

მოწოდება „ქრისტე აღსდგა“—მრევლი ხმამაღლა პასუხობდა „ჭეშმარიტად აღსდგა“. თითქმის უწყვეტად ისმოდა საგალობელი: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...

ღამისთევის ლიტურგიის ყველა მონაწილემ შეავსო ბარათი, სადაც ჩამოიწერა გარდაცვლილთა სახელები მათი სულის მოსახსენებლად, ცოცხლების კი მათ დასალოცად. მღვდელმა მოუწოდა მრევლს მიელოცათ ერთმანეთისათვის, თვითონ კი ყველა სახელობით დალოცა.

* * *

პატარა მაგიდაზე მოთავსდა საკურთხებელი ხუთი პური, ღვინო და ზეთი. პურის კურთხევით გავიხსენეთ მაცხოვრის მიერ ხუთი პურით ხუთიათასის დაპურების სასწაული, ნაკურთხი ზეთით კი მივიღეთ ზეთისცხება. მრევლი ემთხვია ჯვარს.

იყო რწმენა, რომ მისი მიმღებნი მიიღებენ კურთხევას, შვებას, შეუერთდებიან სიცოცხლის წყაროს. ყველამ ერთად იმღერა მრავალჟამიერი, უწყვეტად იგალობებოდა—ქრისტე აღსდგა.

* * *

ტაძარში მრავლად იყვნენ საზანოელები, უფრო ცოტა სიქთარვიდან, სიმონეთიდან, იყო მრევლი ქუთაისიდან. მარინე კილაძე, მაკა ხაფავა, ეკატერინე ბრეგაძე, ნათია გავაშელაშვილი, ლევან კინწურაშვილი, ზაზა ჭანტურიძე, ნონა კუპატაძე, იოსებ კუპატაძე, ერეკლე კირკიტაძე, ლალი (პარასკევა) გიორგაძე, ლელა სირბილაძე, დათო სირბილაძე. პირად საუბარში მათ თქვეს, რომ პოულობენ ძალას დაიცვან მარხვა, მიატოვონ საქმე საოჯახო და ეკლესიას მიაშურონ, როცა მათი ზარები დარეკავენ. შეაქეს მამა დავითი და თქვეს, რომ ყველაფერს ინანიებენ მასთან, რაც მოსანანიებლად მიაჩნიათ.

მრევლმა მამა დავითს აღსარება ჩააბარა.

* * *

ტაძარში მრავლად ჰქონდათ წითელი კვერცხი—სიცოცხლის სიმბოლო, ჯვარცმულის სისხლით გამოსყიდული კაცობრიობის სიცოცხლის მიმნიჭებელი და პასკა. მღდელმა წაიკითხა სამადლობელი ფსალმუნი—ვაკურთხოთ უფალი ყოველსა ჟამსა. აკურთხა ხალხი—კურთხევა უფლისა თქვენთანა, მისითა მადლითა და კაცთმოყვარეობითა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და წმინდანთა შუამდგომლობით კიდევ და კიდევ სთხოვა ღმერთს მორწმუნეთა შეწყალება და კეთილდღეობა. მამა დავითთან ერთად ღამისთევის ლიტურგიაში, ლოცვასა და საგალობლებში ჩართულნი იყვნენ მედავითნე და მგალობლები: სოსო კუპატაძე, დათო ხუციშვილი, გიორგი ვარდოსანიძე. ღამისთევის ლიტურგიას ესწრებოდა მერის წარმომადგენელი გიორგი ჩუბინიძე.

გამოცხადდა ხსნილი ყოველითურთ.

ქადაგება მღვდელი დავითისა

მამა დავითმა კიდევ ერთხელ მოკლედ განმარტა ვნების შვიდეულის შესახებ, რომ ეს დღეები იესო ქრისტეს ვნების, ჯვარცმის და დასაფლავების მოგონებას ეძღვნება. ეს გლოვის დღეებია და მოლოდინი კვირისა—როცა ქრისტე მკვდრეთით აღსდგა. მრევლს მოუწოდა ბოროტებაზე ამაღლებისკენ, სულგრძელობისკენ, სიმშვიდისკენ, მოთმინებისკენ, ლოცვაისა და სულიერი სიფხიზლისკენ, სიყვარულისკენ, რომ სძლიონ წუთისოფლის განსაცდელებით სავსე ცხოვრებას და სუფთა გულით წარუდგნენ უფალს, რადგან მარადიული ცხოვრება დამოკიდებულია იმაზე, რას ვაკეთებთ დღეს, როგორ ვაკეთებთ, გავხდეთ უკეთესნი ხვალ, ვიდრე ვართ დღეს... მრევლს შეახსენა, რომ აღდგომილმა უფალმა ორმოცი დღე დაჰყო დედამიწაზე, მის ზეცად ამაღლებამდე—ერთმანეთს მისალმების ნაცვლად ვუთხრათ ქრისტე აღსდგა.

აღდგომის ჭეშმარიტება...

ქრისტეს საფლავი დაბეჭდილი იყო, ჰყავდა გაძლიერებული დაცვა, ამიტომ მაცხოვრის სხეულს ვერავინ მოიპარავდა, საფლავი კი მაინც ცარიელი აღმოჩნდა. ქრისტეს მოწაფეები შეპყრობილი მოძღვრის დანახვაზე მაშინვე მიმოიფანტნენ, განა ეს ადამიანები შეძლებდენ ქვეყნის სხვადასხვა ქვეყანაში წასულიყვნენ და გაევრცელებინათ აღდგომის შესახებ, თუ არ ექნებოდათ სრულად გაცნობიერებული აღდგომის ძალა და სიდიადე? ან ვინ შეძლებდა შეიარაღებულ, ფხიზელ მცველთაგან თავის დაღწევას, ან რატომ დახვდათ მოციქულებს სამარხში ზეთით გაჟღენთილი სუდარა, ის ხომ მტკიცედ იყო მიწებებული სხეულს, მომპარავნი, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობდნენ, დროს დაკარგავდნენ სუდარის მოხსნაში? როგორ დააღწევდნენ ისინი თავს მცველებს, ყველაფერი ეს და ბევრი რამ ცხადყოფს აღდგომის ჭეშმარიტებას.

აღდგომილი ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში ეჩვენებოდა მოწაფეებს, მათთან ერთად ჭამდა და სვამდა, გამოეცხადა ხუთას ადამიანს, მოციქულ თომას კი ნალურსმანი ადგილები და ჭრილობები აჩვენა. მტრების თქმით—აღდგომის შემდეგ იესომ სასწაულები ვერ მოახდინა, მხოლოდ მოციქულებთან ერთად ჭამდა და სვამდაო. თვით აღდგომა იყო უდიდესი სასწაული და ამ სასწაულის დამადასტურებელი ის, რომ იგი ჭამდა და სვამდა, მოციქულები ვერ იქადაგებდნენ ქრისტეს აღდგომას, თუ მართლაც არ ნახავდნენ მას, რატომ ან როგორ აღუდგებოდნენ წინ მთელ ებრაელ ხალხს, სასწაულების გარეშე 12 მოციქული როგორ დაიპყრობდა მსოფლიოს თუ მათში ღვთიური ძალა არ მოქმედებდა, ადამიანური შესაძლებლობებით ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდნენ...

* * *

ინათლა. მამა დავითმა დაასრულა აღდგომისადმი მიძღვნილი ღამისთევის წირვა, მაგრამ ხალხი არ იშლებოდა, კვლავ და კვლავ ისმოდა მოწოდება—ქრისტე აღსდგა და პასუხიც—ჭეშმარიტად აღსდგა.

ვიღაცამ გაამხილა საიდუმლო და სასიხარულო—მედავითნე სოსო კუპატაძემ, რომელმაც ტაძარი ადრე დატოვა მალე წმინდა ცეცხლი შემოიტანა და გაიხარა მრევლმა, მამა დავითმაც. მან საჩუქრად გადმოგვცა ისრაელში ცეცხლის გარდამოსვლის მხილველის მიერ გამოგზავნილი თაფლის სანთლები და თითოეულ ჩვენგანზე გადმოვიდა წმინდა ცეცხლი და დავაჩქარეთ წამოსვლა, სანთელი სახლამდე უნდა მოგვეტანა და ასეც მოხდა...

ჟუჟუნა ცხადაძე

„უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერ—ერთად!“

პარიზის 2024 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის

ზაფხულის მორიგი—XXXIII ოლიმპიური თამაშები საფრანგეთის დედაქალქ პარიზში გაიმართება. იგი 21 ივლისს გაიხსნება და 15 დღეს გასტანს. თამაშები ოფიციალურად 11 აგვისტოს დაიხურება. აქამდე პარიზმა ორჯერ (1900, 1924) უმასპინძლა.

ჩვენი გაზეთის მორიგ ნომრებში შემოგთავაზებთ საინტერესო ამბებს ოლიმპიადების ისტორიიდან.

ოლიმპიური თამაშები — უძველესი და ყველაზე პოპულარული სპორტული შეჯიბრი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ძველ საბერძნეთში. პირველი ოლიმპიური თამაშები მოეწყო ძვ. წ. 776 წელს ქალაქ ოლიმპიაში. თამაშებს შორის ინტერვალი შეადგენდა 1417 დღეს. ოლიმპიური თამაშები ითვლება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო კომპლექსურ სპორტულ შეჯიბრებად, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიოს ახალგაზრდობის მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებას, მშვიდობასა და პროგრესს.

1894 წელს პარიზში საერთაშორისო კონგრესზე იქნა მიღებული და დამტკიცებული ოლიმპიური თამაშების ძირითადი წესები და დებულებები (ოლიმპიური ქარტია). ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთიანი ხელმძღვანელი ორგანოს შექმნის თაობაზე, რომელსაც ეწოდა „საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი“ (სოკ).



თანამედროვე ოლიმპიური თამაშები ტარდება 4 წელიწადში ერთხელ და ყოველ თამაშებს ენიჭება ნუმერაცია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თამაშები არ ჩატარდა რაიმე მიზეზის გამო (მაგალითად ომის გამო, 1916 წლის VI თამაშები; 1940 წლის XII თამაშები; 1944 წლის XIII თამაშები).

1924 წლიდან სისტემატურად ტარდება ზამთრის ოლიმპიური თამაშებიც. მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის სპორტსმენებმა თამაშებში პირველად მონაწილეობა 1908 წელს მიიღეს.

ოლიმპიური ალამი პირველად აღიმართა 1914 წელს პარიზში თამაშების აღორძინების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

ოლიმპიური ალამი თეთრი ფერის დროშაა და მასზე გამოსახულია ხუთი ერთმანეთზე გადაჯაჭვული რგოლი (ცისფერი, ყვითელი, შავი, მწვანე და წითელი). რგოლები სიმბოლიზირებენ ხუთ კონტინენტს: აფრიკას, აზიას, ამერიკას, ოკეანეთსა და ევროპას. დროშა შექმნილია პიერ დე კუბერტენის მიერ და მისი თქმით დროშის ექვსი ფერი (თეთრი ფონის ჩათვლით) ასახავს იმ დროს ოლიმპიური თამაშების მონაწილე ყველა ქვეყნის დროშის ფერებს. ამ ემბლემის დევიზია „Citius, Altius, Fortius“ („უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერ“).

ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველმა სპორტსმენებმა მედლები პირველად 1952 წელს მოიპოვეს, ჰელსინკში გამართულ ოლიმპიადაზე, საბჭოთა კავშირის ნაკრების რიგებში. საბჭოთა ოლიმპიური ისტორია 1992 წელს დასრულდა, ბარსელონის ოლიმპიური თამაშებით, რომელზეც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გაერთიანებული გუნდი ჩაება კონკურენციაში. 1996 წლიდან კი საქართველო დამოუკიდებელი სახელით გამოდის ოლიმპიადებზე.

ყველაზე წარმატებული ქართველი სპორტსმენებისთვის სეულის 1988 წლის ოლიმპიადა იყო, რომელზეც თორმეტი მედალი მოიპოვეს. აქედან ხუთი ოქრო. დამოუკიდებლობის წლების საუკეთესო მაჩვენებელი 2008 წელს და პეკინს უკავშირდება - სამი ოქრო და ორ-ორი ვერცხლი და ბრინჯაო.

ოლიმპიური თამაშების ისტორიიდან

ოლიმპიადის ფუძემდებელი ფრანგი სპორტული და საზოგადო მოღვაწე პიერ დე კუბერტენია (რაგბით, ფარიკაობით, ნიჩბოსნობითა და კრივით იყო გატაცებული), რომელსაც ანტიკური თამაშების აღდგენის იდეა დიდი ხნის განმავლობაში აწუხებდა. ის შესაბამისი მოხსენებით 1892 წელს პარიზის უნივერსიტეტში წარსდგა, მალევე კი თავის ჩანაფიქრის განხორციელება მოახერხა.

გასაკვირი არ ყოფილა, რომ კომიტეტის პირველი პრეზიდენტი კუბერტენი გახდა, რომელიც ორგანიზაციას 20 წელზე მეტი ხელმძღვანელობდა.

რისი სიმბოლოა ოლიმპიური დროშა

ოლიმპიადის მთავარი ატრიბუტის შესახებ ყველას სმენია, თუმცა, მისი ისტორია, შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს. გადაჯაჭვული 5 რგოლის იდეა ოლიმპიადების ფუძემდებელ პიერ დე კუბერტენს ეკუთვნის. სწორედ ფრანგი საზოგადო მოღვაწე ითვლება ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლად და მანვე შექმნა დროშის კონცეფციაც, რომელიც 1920 ბელგიის ქალაქ ანტვერპენში გამართულ ოლიმპიადაზე წარადგინეს. კუბერტენის აზრით, გადაჯაჭვულ ლურჯ, შავ, წითელ, ყვითელ და მწვანე რგოლებს მსოფლიოს ერთიანობა უნდა გამოეხატა, რადგანაც ამ ფერთაგან ერთ-ერთი მაინც მსოფლიოს ყველა ქვეყნის დროშაში ფიგურირებს. არსებობს ვარაუდი, რომ ისინი პლანეტის მთავარ რეგიონებსაც (აზია, აფრიკა, ევროპა, ამერიკა, ოკეანეთი) წარმოადგენს.

ვერცხლისგან დამზადებული ოქროს მედალი

ოლიმპიადის ყველა მონაწილის ოცნება ოქროს მედლის მოპოვებაა. სახელიდან გამომდინარე, თითქოს იოლი სავარაუდო უნდა იყოს, ის რისგან მზადდება, მაგრამ თქვენ ცდებით. თითქმის 100 წელია, საჩემპიონო მედალს ვერცხლისგან ამზადებენ და ის ოქროთი მხოლოდ ზედაპირულად არის დაფარული. ცხადია, ამის გამო, მთავარი ჯილდოს მნიშვნელობას არავინ აკნინებს.

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

1924 წლიდან სისტემატურად ტარდება ზამთრის ოლიმპიური თამაშებიც. მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის სპორტსმენებმა თამაშებში პირველად მონაწილეობა 1908 წელს მიიღეს, თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური ჩემპიონია ჯ. კონოლი (სამხტომი 13.7 მ, აშშ). მანდილოსნებმა პირველად მონაწილეობა 1900 წელს ჩოგბურთელთა ტურნირში მიიღეს და პირველი ქალი ჩემპიონი შ. კუპერი (დიდი ბრიტანეთი) იყო.

ოლიმპიადის დევიზი წლების განმავლობაში იყო Citius, Altius, Fortius, რაც ლათინურიდან თარგმანში ნიშნავს სწრაფად, მაღლა, ძლიერად, თუმცა, ტოკიოს ოლიმპიადისთვის, პანდემიის გათვალისწინებით მასში ცვლილება მოხდა და ახლა ასე ჟღერს Citius, Altius, Fortius, Communis. ეს უკანასკნელი ითარგმნება, როგორც ერთიანობა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოწოდებაც ესაა, რომ მსოფლიო საერთო გასაჭირს ერთობლივი ძალებით დაუპირისპირდეს.

პარაოლიმპური თამაშები

1960 წლიდან მოყოლებული, ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, სპორტული არენები პარალიმპური თამაშების მონაწილეებს ეთმობათ. მასში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის სპორტსმენები არიან ჩართულნი. წლეულს პარაოლიმპიადა 24 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე პერიოდში ჩატარდება და მედლებისთვის 540 ქვეყნის 4 400-მდე სპორტსმენი იბრძოლებს, რომლებიც ერთმანეთს სპორტის 22 სახეობაში დაუპირისპირდებიან.

შიშველი ოლიმპიადები საბერძნეთში

უძველეს საბერძნეთში ოლიმპიადების დროს სპორტსმენები ერთმანეთს შიშვლები ეჯიბრებოდნენ. მაშინ თამაშებში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ და მათ სპეციალური მითითება ჰქონდათ, რომ ტანისამოსი არ უნდა სცმოდათ. როგორც წესი, ისინი სხეულზე ზეთსაც ისვამდნენ, რომ უფრო ტანადები გამოჩენილიყვნენ და ამით, ღმერთებისთვის პატივი მიეგოთ. სხვათა შორის, დასაწყისში ოლიმპიადა სწორედ რელიგიური დღესასწაულების შემადგენელი ნაწილი იყო და პირველ რიგში, ზევსისადმი თავყანისცემას გამოხატავდა.



ქვეყნის სიმდიდრეა ასეთი ოჯახები

საოცრებების ქვეყანაა საქართველო, ხანდახან გიკვირს, დასაბამიდან მტრით შემოჯარულ ერთ ფიორა ქვეყანას საიდან ამდენი ოპტიმიზმი, ძალა და ენერგია შეექმნა სასახელო, გამორჩეული ისტორია, უძველესი ცივილიზაცია, კულტურული ცხოვრების უიშვიათესი ძეგლები, ეკლესია-მონასტრები, დამწერლობა, გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითები, ტრადიციები და სხვა უამრავი თვალსაჩინოებანი, რომლებმაც ერთ-ერთი უპირველესი ადგილი დაუმკვიდრა უკიდეგანო სამყაროში...

ამავდროულად საოცარი ოჯახების, საოცარი ქალების ქვეყანაა საქართველო. მამაკაცებთან ერთად სწორედ მათი ძალისხმევა და თავგანწირვა ედო საფუძვლად ქვეყნის სიძლიერეს...

„ერთი შვილი არა შვილი, ორი შვილი ვითომ შვილი, სამი შვილი მართლა შვილიო“, იტყოდა ჩვენი წინაპარი წარსულში და თითზე ჩამოსათვლელ კი არა და ოჯახების უმეტესობა 10-15 შვილის ყოლას ტვირთულობდა, რადგან სჭირდებოდა მამულს მტრისა და მოყვარის პასუხისგამცემი ვაჟკაცები და გოგონები...

დიახ, მაშინ, წარსულში ოჯახთა უმრავლესობა მრავალშვილიანი იყო. დღეს სადღაც, თითო ოროლა თუ გამოერევა ასეთი ოჯახები. სამწუხაროდ, ერთ ან ორ შვილს ჯერდებიან ახალგაზრდები ეკონომიური მდგომარეობის მომიზეზებით.

თუმცა, რაც უფლის ნებაა წინ ვერაფერი დაუდგება და არის თერჯოლაში, ქვედა სიმონეთის თემში, ერთი ოჯახი, რომელსაც ხუთი შვილის ჩუქების სიხარული არგუნა უფალმა და ახალგაზრდა მშვენიერი წყვილის ცხოვრება ნამდვილ ბედნიერებად აქცია.

მიხეილ ბარდაველიძემ და ლალი გრძელიშვილმა, ოჯახი 15 წლის წინათ შექმნეს. ლალი ჭიათურიდანაა, მიხეილმა იგი ჭიათურაში, მამიდასთან სტუმრად

ყოფნის დროს გაიცნო, რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს, ერთი წლის შემდეგ კი, 2008 წლის 15 ივნისს დაქორწინდნენ. ისინი უფროსებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობენ, ასე იყო მაშინაც, როცა მათი სიყვარულის პირმშო, პირველი ქალიშვილი მარიამი შეეძინათ, შემდეგ მათე, მოსე, მაია, ლინე მოევლინენ სამყაროს და კიდევ უფრო გაიზარდა ოჯახი, პასუხისმგებლობა და ბუნებრივია, მოთხოვნილებაც მეტი გაჩნდა მათ მიმართ.

ოჯახში ოთხი ქვედა სიმონეთის საჯარო სკოლის მოსწავლეა: მეცხრე, მეშვიდე, მეოთხე და მეორეკლასელი, ერთიც საბავშვო ბაღის აღსაზრდელია. ხუთივენი ერთი-მეორეზე ლამაზი და საყვარელი ბავშვია და არ შეიძლება მათი მოფერება და ჩახუტება არ მოგინდეს ადამიანს.

იშვიათად ნახავთ ასე მოვლილ-მოწესრიგებულ ბავშვებს, ასევე განსაკუთრებული წესრიგია მათ ძალზე მოკრძალებულ საცხოვრებელ სახლში. გაგიკვირდება ადამიანს ასეთ სივიწროვეში, ხუთ მცირეწლოვან შვილთან ერთად, როგორ ახერხებენ სუფთა, მყუდრო, თბილი და სასიამოვნო გარემოს შექმნას.

მიხეილსა და ლალის სამეზობლო, სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი ახასიათებენ როგორც ერთ-ერთ სანიმუშო და საყვარელ ოჯახს თემში... ლალი დიასახლისია და ძირითადად ბავშვების აღზრდითა და მათი მოვლითაა დაკავებული, მიშიკო ძირითადად სოფლის მეურნეობას უვლის, რაიმე სამუშაო და აქედან შემოსავალი არც ერთს არ აქვს. მათი შემოსავალი სოციალური დახმარებაა, თუმცა არ წუწუნებენ, ღმერთისა და ასევე, მათი, ვინც დახმარების ხელს უწვდით მადლიერები არიან...

მიხეილისა და ლალის არაჩვეულებრივი ლამაზი ოჯახი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ მათთან ერთ-ერთ დღესასწაულზე მისალოცად სტუმრობისას აღმოაჩინა. ბატონი მანუჩარის თბილი შეხვედრითა და მოფერებით გათამამებულმა უფროსმა გოგონამ, სთხოვა ცოტა დრო დაეთმო და მისი ნახატები ენახა, ნამუშევრებით აღფრთოვანებულმა მერმა, მარიამი სამხატვრო სკოლის დირექტორს, ქალბატონ თამარ ღარიბაშვილს გააცნო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მარიამის პერსონალური გამოფენა მოეწყო.

მარიამ ბარდაველიძის პირველი გამოფენა

გოგონა, რომელიც თავის ოთახიდან ეიფელის კოშკს ხედავს

25 აპრილს სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლა თვითნასწავლი ნორჩი მხატვრის მარიამის ნამუშევრებით დამთვალიერებლებს მასპინძლობს. აქ არიან მარიამის მშობლები, ოთხივე დაძმა, ახლობლები, საზოგადოების, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები. აქ მარიამის 100-ზე მეტი ნახატია წარმოდგენილი და თითოეულს აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე მარიამთან ერთად ათვალიერებს გამოფენას და პარალელურად მისგან ისმენს თითოეული ნამუშევრის შექმნისა და ჩანაფიქრის

ამავ

ბ

ბ

ბ